


**პარტია „კონსერვატიული მოძრაობისა“
და ძალეკომპანია „ალტ-ინფოს“
საქმიანობის აკრძალვის საფუძვლები**

სამართლებრივი ანალიზი



ადამიანის უფლებათა ცენტრი



ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა	1
პოლიტიკური პარტიების აკრძალვის	2
კონსტიტუციური საფუძვლები	2
ევროპის აღმდგენის უფლებათა სასამართლოს	3
პრაქტიკის ანალიზი	3
სიძულვილის ენის აკრძალვა	10
სიძულვილის ენა „აღმ-ინფორმი“	12
ომის პროვოკაციის აკრძალვა	14
პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“	16
საქმიანობის არაკონსტიტუციურობა	16
დასკვნა	18
რეკომენდაციები:.....	19

ზოგადი მიმოხილვა

„ალტ-ინფო“ პრორუსული, პროპაგანდისტული მედიაპლატფორმაა, რომლის დამფუძნებლები და წამყვანები 2021 წლის 5 ივლისის „თბილისი პრაიდის“ (Tbilisi Pride) საწინააღმდეგო ძალადობრივი აქციის ორგანიზებასა და ძალადობის წახალისებაში იყვნენ ჩართულნი¹. „ალტ-ინფოს“ ანტიდასავლური, ანტილიბერალური რიტორიკა 5-6 ივლისის ძალადობრივი მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო მკაფიო გახდა².

„ალტ-ინფოს“ მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთში ე. წ. ევრაზიანისტული მოძრაობის დამფუძნებელ და ულტრანაციონალისტ ფილოსოფოს ალექსანდრე დუგინთან, რომელიც „თბილისი პრაიდთან“ დაკავშირებით 2021 წლის 5 ივლისს და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს სოციალური ქსელით გულშემატკივრობდა³, სხვადასხვა დროს კი „ალტ-ინფოს“ ეთერს კრემლის სხვა იდეოლოგებთან ერთად სტუმრობდა⁴.

„ალტ-ინფოს“ წარმომადგენლებმა 2021 წლის 20 ნოემბერს ყრილობა გამართეს და პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ დააფუძნეს. თავდაპირველად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა ბიურომ პარტიის რეგისტრაცია ტექნიკური ხარვეზების გამო შეაჩერა⁵, მაგრამ მოგვიანებით, 7 დეკემბერს, პარტია ოფიციალურად დაარეგისტრირა⁶. 2022 წლის აპრილის მდგომარეობით პარტიას 18-მდე მუნიციპალიტეტში აქვს რაიონული ოფისი, რომელთა რაოდენობა, საზოგადოებრივი და ოპოზიციური პარტიების პროტესტის მიუხედავად, ყოველდღიურად იზრდება⁷.

„ალტ-ინფო“ გამოირჩევა ძალადობრივი ქმედებებით და ძალადობის წამახალისებელი სიძულვილისა და მუქარის ენით. „ალტ-ინფოს“ წამყვანები აცხადებენ, რომ აგრესია პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის აუცილებელი იარაღი უნდა გახდეს. ისინი მოქალაქეებს ევროკავშირის დროშების დაწვისკენ მოუწოდებენ⁸. წლების განმავლობაში, „ალტ-ინფო“ საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობისა და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული დასავლური, ევრო-ატლანტიკური კურსის წინააღმდეგ ილაშქრებს და დასავლეთის ქვეყნებს თუ ინსტიტუტებს საქართველოს შიდა საქმეებში უხეშ ჩარევაში, საქართველოს მიმართ კოლონიალიზმში, ქართული ტრადიციებისა და ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებს⁹.

¹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38u21BE>

² ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xYqW1C>

³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Kntuf>

⁴ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3voGOSI>

⁵ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება # P21000039/3. <https://bit.ly/3gAX2zy>

⁶ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის მოწმობა. <https://bit.ly/3rWNohz>.

⁷ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rUFIq>

⁸ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MBIRIQ>

⁹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38uLP35>

„ალტ-ინფო“ და პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ ამტკიცებს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საქართველო აუცილებლად რუსულ უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სისტემებში უნდა შევიდეს. ამ მიზნით, „ალტ-ინფოს“ რადიკალური დაჯგუფება საქართველოში კიდევ ერთი რუსული სამხედრო ბაზის განთავსებასაც არ გამორიცხავს. ამასთან, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რუსული სამხედრო ბაზების „დაკანონებას“ აპირებს. გარდა ამისა, „ალტ-ინფო“ ომის პროპაგანდასაც ეწევა.

შეიძლება ითქვას, მსგავსი პოზიციონირება საქართველოში აქამდე არსებული პრორუსული პარტიებისთვისაც კი უპრეცედენტოა, რის გამოც იგი განსაკუთრებულ კონტროლს საჭიროებს, განსაკუთრებით - მაშინ, როდესაც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის და პუტინის იმპერიალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი სწორედ რუსული საინფორმაციო ომის მანქანაა, რასაც „ალტ-ინფო“ და პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ წლებია, იყენებენ. ამასთან, წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამდა რუსული დებინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიის წინააღმდეგ. რუსულ დებინფორმაციასთან ბრძოლა კი, პირდაპირ უკავშირდება საქართველოს უსაფრთხოებასა და რეგიონის მშვიდობას.

პოლიტიკური პარტიების აკრძალვის კონსტიტუციური საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მეოთხე პუნქტის ვ) ქვეპუნქტის¹⁰ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის¹¹, ისევე როგორც 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება შეამოწმოს როგორც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შექმნის, ასევე მისი საქმიანობის კონსტიტუციურობა.

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი გვაძლევს მნიშვნელოვან განმარტებას, თუ რა მიიჩნევა არაკონსტიტუციურად ამ შემთხვევაში: **„დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის**

¹⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მეოთხე პუნქტის ვ) ქვეპუნქტი. <https://bit.ly/3xEydfY>

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი. <https://bit.ly/3Mgnl6P>

შექმნა ტერიტორიული ნიშნით¹². ასეთივე აკრძალვა დადგენილია „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით¹³. ამასთან, ამავე კანონის 35-ე მუხლის მიხედვით, პარტიის აკრძალვა მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი.

მართალია, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება და მისი ინსტიტუციური რეალიზების კონკრეტული ფორმა - პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, მაგრამ ამავედროულად, საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს ისეთი პოლიტიკური პარტიის აკრძალვას, რომელიც ხელყოფს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციით გამყარებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს და მთლიანად იმ საფუძვლებს, რაზეც დგას საქართველოს კონსტიტუცია.

აგრეთვე, 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა ცალსახად მიუთითებს საქართველოს მოქალაქეების ურყევ ნებაზე „დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება“ და „განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.“

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელი დოკუმენტები და ეროვნული კანონმდებლობა ცალსახად განამტკიცებენ სახელმწიფო და ეროვნულ სუვერენიტეტს. თუმცა, ამგვარი მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნება იმ პირობებში, თუკი საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისად საქართველოში არსებული დემოკრატიული წეს-წყობილება არ იქნება „თავდაცვისუნარიანი“. გარდა ამისა, „დემოკრატიის მტრებს არ უნდა მიეცეთ საშუალება, რომ გამოიყენონ დემოკრატიით მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები მისთვის საფრთხის შესაქმნელად“¹⁴.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეამბულის ანალიზი

ტერმინი „თავდაცვისუნარიანი დემოკრატია“ გერმანელმა ფილოსოფოსმა კარლ ლოვენშტაინმა დაამკვიდრა, რომელიც 1930 წელს გერმანიიდან გადაასახლეს და იელში მუშაობდა¹⁵. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დროდადრო იყენებს ტერმინებს „თავდაცვისუნარიანი დემოკრატია“ ან „დემოკრატია, რომელსაც შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი“. ამ ტერმინს, თავის მხრივ, სტრასბურგის

¹² საქართველოს კონსტიტუცია, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი. <https://bit.ly/3xEydfY>

¹³ „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი. <https://bit.ly/3xFNy01>

¹⁴ Rory O'Connell, Militant Democracy and Human Rights Principles: <https://bit.ly/3JVbhLU>

¹⁵ Rory O'Connell, Militant Democracy and Human Rights Principles, p. 84.: <https://bit.ly/3JVbhLU>

პრეცედენტული სამართლის შესწავლისა და განხილვებისას, უფრო აქტიურად იყენებენ მკვლევრები¹⁶.

ცნებამ „თავდაცვისუნარიანი დემოკრატია“ შეიძლება, მოიცვას რიგი ქმედებები, განსაკუთრებით კი, პოლიტიკურ უფლებებზე (ხმის მიცემის, არჩევნებში მონაწილეობის, გამოხატვის თავისუფლების, შეკრება/მანიფესტაციების თავისუფლების და ა.შ.) არსებული შეზღუდვების ტიპები, რაც ვრცელდება პოლიტიკურ პარტიებზე, მოძრაობებზე ანდა მათ მიმდევრებზე, როცა არსებობს ეჭვი, რომ ეს პარტიები, მოძრაობები თუ ცალკეული პიროვნებები იყენებენ პოლიტიკურ უფლებებს დემოკრატიისთვის საფრთხის შესაქმნელად¹⁷. აღსანიშნია, რომ თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის სხვა უფრო ადრეული პერიოდის დამცველთა შორის არის ნაციზმის მორიგი ლტოლვილი კარლ მანჰაიმი. *კარლ მანჰაიმის თანახმად, „დემოკრატიული ტოლერანტობა არ ნიშნავს არატოლერანტულობის ატანას“¹⁸. თავდაცვისუნარიანი დემოკრატია არ არის დაუსრულებლად განსახილველი თემა¹⁹ და მას მარტივად შეუძლია, მოახდინოს თავისი პოლიტიკური მტრის იდენტიფიცირება²⁰.*

თავდაცვისუნარიანი დემოკრატია გულისხმობს გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესებას მაშინ, როდესაც ამა თუ იმ უფლების რეალიზება საფრთხეს უქმნის დემოკრატიის საწყისებს. სწორედ ასეთ ერთ-ერთ გამართლებულ შეზღუდვას წარმოადგენს იმ ტიპის პოლიტიკური პარტიის აკრძალვა, რომელიც ზემოთნახსენებ საფრთხეებს ქმნის, კერძოდ: *ენჭევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს*. აღსანიშნია, რომ ასეთი შეზღუდვები მოქმედებს ევროპის საბჭოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, საგულისხმოა გერმანიისა და იტალიის კონსტიტუციები, რომლებიც ითვალისწინებენ „თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის“ უზრუნველყოფ მექანიზმებს.

1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 მუხლი²¹ ითვალისწინებს უფლებათა ბოროტად გამოყენების მსგავს დოქტრინას: *ამ კონვენციის არცერთი ნაწილი არ უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს ისეთ საქმიანობაში ან განახორციელოს ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და*

¹⁶ P. Harvey, "Militant democracy and the European Convention on Human Rights" (2004) 29 (3) European Law Review 407-420.

¹⁷ Loewenstein. K. "Militant Democracy and Fundamental Rights," (1937) 31 (3) American Political Science Review 417; Loewenstein, K. "Militant Democracy and Fundamental Rights, II" (1937) 31 (4) American Political Science Review 638-658; "Legislative Control of Political Extremism in European Democracies I" (1938) 38 Columbia Law Review 591.

¹⁸ Mannheim, Karl Diagnosis of our time (London; K. Paul, Trench, Truber & co., 1943), 49. See also Lerner, Max It is later than you think: the need for a militant democracy (New Brunswick, N.J.: Transaction Publications, 1980, [1943].

¹⁹ Carl Schmitt, The Crisis of Parliamentary Democracy (Cambridge: MIT Press, 1988, 1923).

<https://bit.ly/38ZPI05>

²⁰ Carl Schmitt, The Concept of the Political (New Jersey: Rutgers UP, 1976). <https://bit.ly/3KUI7xX>

²¹ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 17. <https://bit.ly/37wCFCK>

თავისუფლებათა განადგურებას ან ამ უფლებათა და თავისუფლებათა იმაზე მეტად შეზღუდვას, ვიდრე ეს დადგენილია კონვენციით²². ევროპული კონვენცია, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს, საჭიროებისამებრ, უფლებათა გონივრულ შეზღუდვებს დემოკრატიულ საზოგადოებაში²³ და მათ შესუსტებას განსაკუთრებული მდგომარეობის დროს, როდესაც ერის ბედი საფრთხეშია²⁴.

კონვენციის მუხლებით დაცული უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც შესაძლოა, იჭრებოდეს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებში, ექვემდებარება ნებადართულ შეზღუდვებს. შესაბამისად, მე-17 მუხლის უმთავრესი დანიშნულებაა იმ პირთა უფლებების უარყოფა, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს თავიანთი უფლებისა თუ თავისუფლების განხორციელებით სხვათა უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ზიანის მიყენება. თავის მხრივ, იმ პოლიტიკურ პარტიათა აკრძალვის საკითხი, რომელთა მანიფესტები დემოკრატიულ პრინციპებთან შეუთავსებელია, ძირითადად კონვენციის მე-11 მუხლთან (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მიმართებაში განიხილება. მაშინ როცა, პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი განიხილება მხოლოდ დამატებით მექანიზმად²⁵.

კონსტიტუციური წყობისთვის საფრთხის შექმნის გამო, ცივი ომის დროს რამდენიმე სახელმწიფომ მიიღო ზომები მოძრაობათა პოლიტიკური უფლებების შესაზღუდად. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა ნაცისტური პარტიის მემკვიდრე და კომუნისტური პარტია²⁶, როდესაც გერმანიამ მიიღო საჯარო მოსამსახურეთა ლოიალობის მარეგულირებელი კანონები. ევროსასამართლომ კი, უარი თქვა ლოიალობის კანონებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და ასეთი შეზღუდვები გამართლებულად მიიჩნია²⁷.

პრაქტიკაში, თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის მსგავსი ხერხების გამოყენების გასამართლებლად არაერთი მიზეზი მოჰყავთ. ჩვეულებრივ, ეს მოიცავს ბრძოლას პოლიტიკური ძალმომრეობის წინააღმდეგ, რასისტულ და ულტრამემარჯვენე პარტიებზე კონტროლს, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პრინციპების დაცვას, დემოკრატიულ მმართველობაზე

²² Letsas, G., The Truth in Autonomous Concepts: How to Interpret the ECHR, 2004.

<http://www.ejil.org/pdfs/15/2/351.pdf>

²³ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8(2), 10(2), 11(2). <https://bit.ly/37wCFCK>

²⁴ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 15.

<https://bit.ly/37wCFCK>

²⁵ Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey [GC], 2003; Linkov v. the Czech Republic, 2006; Parti nationaliste basque – Organisation régionale d'Iparralde v. France, 2007).

²⁶ Socialist Reich Party case [1952] BVerGE 2, 1, found in Kommers, Constitutional Jurisprudence of the FRG, Communist Party case [1956] BVerfGE 5, 85, found in Kommers, Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany.

²⁷ T Kosiek v. Germany (1986) 9 EHRR 328 with Vogt v. Germany (1996) 21 EHRR 205. See Harvey, "Militant democracy and the European Convention on Human Rights" (2004) 29 (3) European Law Review 407, 413-414. Conor Geart.

გადასვლის უზრუნველყოფას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას²⁸. ამასთან დაკავშირებით, კონსტიტუციური სამართლის პროფესორი, სემუელ ისაშაროფი საუბრობს მეამბოხე, სეპარატისტულ და ანტიდემოკრატიული პარტიების მიერ შექმნილ საფრთხეებზე²⁹, რისი არსებობის შემთხვევაშიც მოძრაობათა პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა გამართლებულია.

სტრასბურგის სასამართლოს დიდი ხანია, უწევს თავდაცვისუნარიანი დემოკრატიასთან შეხება, ეს ეხება რასისტული თუ ფაშისტური პარტიების შეუპოვრობას, გერმანიის ლოიალობის შესახებ კანონებს თუ გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში პოლიტიკური ძალადობის საკითხებს³⁰.

პოლიტიკურ მოძრაობებს, რომლებიც ჩართული არიან, იცავენ ან კავშირში არიან ძალადობრივ პოლიტიკასთან, გარკვეული შეზღუდვები უწესდებათ ევროპულ ქვეყნებში. მაგალითად, გაერთიანებულმა სამეფომ და ირლანდიამ შემოიღეს შეზღუდვები იმ პარტიებისთვის, რომლებიც ასოცირდებიან პარამილიტარისტულ დაჯგუფებებთან ჩრდილოეთ ირლანდიაში. ეს შეზღუდვები ეროვნული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერაც დაკმაყოფილდა.

2003 წელს, ესპანეთის პარლამენტმა მიიღო კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, რათა „ეტას“ ძალადობასთან ასოცირებული პარტია „ბატასუნას“ აკრძალვა შესაძლებელი გამხდარიყო. ესპანეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალმა აღიარა კანონის ვალიდურობა³¹ მაშინ, როდესაც 2003 წელს „ბატასუნა“ დაიშალა; დაწესებული შეზღუდვები გამართლებულად იქნა მიჩნეული³².

საქმეში *Herri Batasna and Batasuna v. Spain*³³ ევროპულმა სასამართლომ დააფიქსირა პოზიცია, რომ პარტიები თავისუფალი არიან, მისდიონ ნებისმიერ მიზანს იმდენად, რამდენადაც ეს მიზანი თავსებადი დემოკრატიასთან, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები - კანონიერი და დემოკრატიული³⁴. თუმცა, სახელმწიფოს უნდა შეეძლოს მოქმედება, და ეს უნდა იყოს დროული მოქმედება. ეს არის თავსებადი პოზიტიურ ვალდებულებებთან, რასაც ითვალისწინებს

²⁸ M. Basedau, M. Bogaards, C. Hartmann and P. Niesen, "Ethnic Party Bans in Africa: A Research Agenda" (2007) 8 (6) German Law Journal 617-634.

²⁹ S. Issacharoff, "Fragile Democracies" (2007) 120 Harvard Law Review 1405, 1433-1447. 28.

³⁰ P. Harvey, "Militant democracy and the European Convention on Human Rights" (2004) 29 (3) European Law Review 407-420. <https://bit.ly/39lOe0k>

³¹ Basque Regional Government challenge to the Law on Political Parties STC 48/2003, 12 March 2003. <http://www.tribunalconstitucional/>

³² Ian Cram, "Constitutional response to extremist political associations – ETA, Batasuna and democratic norms" (2008) 28 (1) Legal Studies – Society of Public Teachers of Law 68-95; Victor Ferreres Comella, "The New Regulation of Political Parties in Spain and the Decision to Outlaw Batasuna" in A. Sajo (ed.) *Militant Democracy* (Utrecht: Eleven International Publishing, 2004); L. Turano, "Spain: Banning political parties as a response to Basque terrorism" (2003) 1(4) *International Journal of Constitutional Law* 730-740; K.A. Sawyer, "Rejection of Weimarian Politics or Betrayal of Democracy?: Spain's Proscription of Batasuna under the European Convention on Human Rights" (2003) 52 (6) *American University Law Review* 1531-1581.

³³ *Herri Batasuna v Spain* application nos. 25803/04 and 25817/04, 30 June 2009.

³⁴ იქვე, პარაგრაფი 79.

კონვენცია³⁵. ამ პრინციპების ხაზგასმით, სტრასბურგის სასამართლომ დასძინა, რომ იყო რიგი ისეთი ფაქტები, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ პარტიები აღვივებდნენ „სოციალური დაპირისპირების კლიმატს“ და ეტას ფარულად მხარდაჭერას სთავაზობდნენ³⁶. სასამართლო ასევე შეეხო იმ მოსაზრებას, რომ დუმილი პოლიტიკოსთა მხრიდან ასეთ ფაქტებზე შეიძლება გამოყენებული იქნეს პარტიის განზრახვათა გამოსაცნობად³⁷.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-11 მუხლთან შესაბამისად ცნო ესპანეთში პოლიტიკური პარტიის დაშლა. სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს არ შეიძლება, მოეთხოვოს, რომ მან დაიცადოს, ვიდრე პოლიტიკური პარტია მოიკრებს ძალაუფლებას და გადადგამს კონკრეტული ნაბიჯებს იმგვარი პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელიც შეუსაბამოა კონვენციისა და დემოკრატიის სტანდარტებთან. თუმცა, დემოკრატიისათვის ამგვარი პოლიტიკით საფრთხის შექმნა უნდა იყოს საკმარისად არსებული და მოახლოებული³⁸.

პოლიტიკური პარტიების ან გაერთიანებების დაშლასთან/აკრძალვასთან მიმართებით, მნიშვნელოვანი საქმეა *Vona v. Hungary*³⁹. ამ საქმეში განმცხადებელი „უნგრეთის გვარდიის ასოციაციის“ თავმჯდომარე იყო, რომელიც 2007 წელს დაფუძნდა, პოლიტიკური პარტიის „მოძრაობა უკეთესი უნგრეთითვის“ წევრების მიერ. მისი გაცხადებული მიზანი იყო „უნგრული ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნება“. ასოციაციამ, თავის მხრივ, დააარსა უნგრეთის გვარდიის მოძრაობა, რომლის მიზანი იყო, როგორც ეს განსაზღვრულია მის წესდებაში, „დაიცვან უნგრეთი, დაუცველი ფიზიკურად, სულიერად და ინტელექტუალურად“.

2009 წლის დეკემბერში, უნგრეთის ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ასოციაცია დაიშალა მოძრაობის მიერ ორგანიზებული მიტინგებისა და დემონსტრაციების გამო მთელ უნგრეთში. მათ შორის ისეთ სოფლებში, სადაც ბოშები ცხოვრობენ - ე.წ. ბოშების კრიმინალისგან ეთნიკური უნგრელების დაცვის მიზნით.

აღნიშნული გადაწყვეტილება აპლიკანტის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრდა. სასამართლომ საკუთარი მსჯელობით დაასკვნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, უნგრეთის ხელისუფლებას არ დაურღვევია კონვენციის მე-11 მუხლი. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში, წევრი სახელმწიფო უფლებამოსილი იყო მიეღო პრევენციული ზომები, კონკრეტული გაერთიანებისგან დემოკრატიის დასაცავად, იმ შემთხვევაში,

³⁵ იქვე, პარაგრაფი 82.

³⁶ იქვე, პარაგრაფი 85.

³⁷ იქვე, პარაგრაფი 88.

³⁸ *Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey*, ECHR, Judgment of 13.2.2003, აბზაცი 102, *Herri Batasuna and Batasuna v. Spain*, ECHR, judgment of 30 June 2009, აბზაცი 81.

³⁹ *CASE OF VONA v. HUNGARY* (Application no. 35943/10); JUDGMENT, STRASBOURG, 9 July 2013, FINAL 09/12/2013. <https://bit.ly/3KpZHIR>

თუ არსებობს შესაბამისი გარდაუვალი საფრთხე სხვათა უფლებების დარღვევისა, რაც ძირს უთხრის იმ ფუნდამენტურ ფასეულობებს, რაზეც დემოკრატიული საზოგადოება დგას.

„უნგრეთის გვარდიის ასოციაციის“ მიერ შექმნილმა მოძრაობამ ბიძგი მისცა რასობრივი განხეთქილების მესიჯების შემცველ დემონსტრაციებს, რაც, თავის მხრივ, უნგრული ნაციისტური მოძრაობის (Arrow Cross) მსგავსი იყო, რომელსაც უნგრეთში ბოშა მოსახლეობაზე დამაშინებელი ეფექტი ჰქონდა. მსგავსი გასამხედროებელი მარშები სცილდებოდა უბრალო შემაშფოთებელ ან შეურაცხყოფელ იდეის ფარგლებს, რომელსაც კონვენცია იცავს. ამას კი ამ მოძრაობასთან აფილირებული ორგანიზებულ აქტივისტთა ჯგუფების მუქარები განაპირობებდა. აქედან გამომდინარე, მოძრაობის მიერ გაცხადებულ მუქარათა აღმოფხვრის ერთადერთი ეფექტური გზა ასოციაციის, როგორც ორგანიზაციის ფორმის მიერ შეთავაზებული პრივილეგიების, ჩამორთმევა იყო.

როგორც აღინიშნა, ის, რომ მოძრაობა ფუნდამენტური კონსტიტუციური ან ადამიანის უფლებათა პრინციპების წინააღმდეგია, ზოგჯერ გამოიყენება პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის ასახსნელად. ასე მოხდა თურქეთის „კეთილდღეობის პარტიის“ (*the Welfare Party*) საქმეშიც - კეთილდღეობის პარტიის მიერ შარიათის სავარაუდო დაცვა და პერსონალური კანონების შემოღება სეკულარიზმის პრინციპის საწინააღმდეგოდ, გამოყენებული იქნა მისი დაშლის ასახსნელად⁴⁰.

თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება კეთილდღეობის პარტიის დაშლაზე იმ საბაბით, რომ ის ეწინააღმდეგებოდა სეკულარიზმს. აღსანიშნია, რომ, იმ დროისათვის, მართლაც, კეთილდღეობის პარტია იყო კოალიციურ მთავრობაში და ის იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია წარმოდგენილი თურქეთის პარლამენტში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey* დაადგინა, რომ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია აწარმოოს კამპანია კანონში ანდა სახელმწიფოს კონსტიტუციურ და სამართლებრივ წესწყობილებაში ცვლილებების სასარგებლოდ ორი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: ა) გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს კანონიერი და დემოკრატიული ბ) ცვლილება თავისთავად უნდა შეესაბამებოდეს ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპებს⁴¹.

მოცემულ საქმეში სასამართლომ მხედველობაში მიიღო პარტიის ლიდერების განცხადებები და მოქმედებები, პარტიის მიერ დასახული მიზნები, პოლიტიკა და მიიჩნია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოსთვის რელიგიისგან დამოუკიდებლობა და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი პრინციპები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პოლიტიკური პარტიის უფლება, იარსებოს და იმოღვაწეოს ქვეყნის

⁴⁰ Refah Partisi (Welfare Party) v. Turkey (2003) 37 EHRR 1.

⁴¹ Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey, ECHR, Judgement of 13.2.2003, para 98.

პოლიტიკურ ასპარეზზე. სასამართლოს აზრით, ისეთი პოლიტიკური პარტიის არსებობა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის კონსტიტუციით გათვალისწინებული მიზნებისა და დემოკრატიის ძირითად ფასეულობათა შეცვლას (როგორც ამ შემთხვევაში კეთილდღეობის პარტია იყო, რომელსაც ქვეყნის მართვა შარიათის კანონებით და ისლამური რელიგიით სურდა) შეიძლება, შეიზღუდოს. ამგვარად, სასამართლომ თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კეთილდღეობის პარტიის აკრძალვა არ ჩათვალა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევად.

საბოლოო ჯამში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ პარტიის დაშლა აიხსნებოდა სამი მიზეზით: 1) *პარტია ვერ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნას, რომ თავი შორს დაეჭირა ძალადობრივი ქმედებების დაცვისაგან;* 2) *პარტიას სურდა, შემოეღო პერსონალური კანონი თურქეთის მოქალაქეთათვის (ანუ, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები რელიგიის გათვალისწინებით);* 3) *და ბოლოს, პარტია შარიათის კანონის მომხრე იყო.*

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიები სარგებლობენ ყველა იმ უფლებებითა და თავისუფლებებით, რაც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-10 მუხლებით (გამოხატვის თავისუფლება). თუმცა, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონვენციის მე-11, მე-9 და მე-10 მუხლებით გარანტირებული თავისუფლებები არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოს, დაიცვას საკუთარი ინსტიტუციები ისეთი პარტიებისაგან, რომლებიც დემოკრატიულ ინსტიტუტებს საფრთხეს უქმნიან.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „საკანონმდებლო ცვლილების ან ქვეყნის სამართლებრივი და კონსტიტუციური სტრუქტურის შეცვლისთვის, პოლიტიკურ პარტიას აქვს ორი კონვენციური წინაპირობა: ერთი მხრივ, აღნიშნული მიზნით გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს ლეგალური და დემოკრატიული; მეორე მხრივ კი, შემოთავაზებული ცვლილება თვითონვე უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს. ეს გამომდინარეობს იმ მოცემულობიდან, რომ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა ლიდერები ძალადობისკენ მოწოდებებს აკეთებენ ან ატარებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც პატივს არ სცემს დემოკრაციას, ან მიზნად ისახავს დემოკრატიის განადგურებასა და იმ უფლებათა და თავისუფლებათა შელახვას, რაც აღიარებულია დემოკრატიულ საზოგადოებებში, ვერ ექნებათ პრეტენზია კონვენციის დაცვაზე, ამავე საფუძვლით დაწესებული სანქციის წინააღმდეგ...“⁴²

⁴² Yazar, Karataş, Aksoy and the People’s Labour Party (HEP) v. Turkey, judgment of 9 April 2002, §49).

ეს საქმეები მიუთითებენ სასამართლოს ტოლერანტობაზე რადიკალ მემარჯვენეთა და რასისტული მოძრაობებისათვის პოლიტიკური უფლებების შეზღუდვებთან დაკავშირებით.

სიძულვილის ენის აკრძალვა

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის აღიარება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება, როდესაც არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი იქნა მიღებული. ამ დოკუმენტებით, მათ შორის, აღიარებულია გამოხატვის თავისუფლება, როგორც ძირითადი უნივერსალური ღირებულება, რომელიც ადამიანის უფლებების საფუძველია და განსაზღვრავს პიროვნების ღირსებას. გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემაში, რადგან სწორედ ის განაპირობებს სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობებსა და ფარგლებს.

გამოხატვის თავისუფლება არის ადამიანის უფლება და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით⁴³, ისევე, როგორც, ეროვნულ დონეზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით⁴⁴. ეს უფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა ადამიანის თვითრეალიზაციაში. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთი იდეების გამოხატვის უფლებასაც, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს კრიტიკას, ან მიჩნეული იყოს შეურაცხმყოფლად, აღმაშფოთებლად ან სადავოდ. თუმცა, გამოხატვის თავისუფლება არ არის უსაზღვრო. სხვა ადამიანების უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფოებმა შესაძლოა დააწესონ სანქცია ან აღკვეთონ გამოხატვის ისეთი ფორმები, რომელიც ავრცელებს, ახალისებს, ხელს უწყობს ან ამართლებს სიძულვილს. საჭიროა ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, ადამიანების მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვასა და, მეორე მხრივ, სხვების უფლებების დაცვას, დანაშაულისა და არეულობის თავიდან არიდებას შორის.

რაც შეეხება „სიძულვილის ენას“, მისი საყოველთაოდ აღიარებული იურიდიული დეფინიცია არ არსებობს⁴⁵. რეალურად, სიძულვილის ენის განმარტება განსხვავდება ქვეყნის, იურისდიქციისა და კონკრეტული ტიპის კანონების მიხედვით. ამის მიუხედავად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1997 წელს მიიღო რეკომენდაცია #R(97), სადაც იგი შემდეგნაირადაა განმარტებული: *„სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, ხელს უწყობს, პროვოცირებას უწევს ან ამართლებს ქსენოფობიას, რასობრივ შუღლს, ანტისემიტიზმს, ასევე, შეუწყნარებლობის სხვა სახით გამოვლინებას - ეთნოცენტრიზმს,*

⁴³ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10.

<https://bit.ly/37wCFCK>

⁴⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17. <https://bit.ly/3rUIS2i>

⁴⁵ ECtHR, Factsheet hate speech, 2019.

ნაციონალიზმს, დისკრიმინაციას, უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ მტრობას". სიძულვილის ენა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერი შეურაცხყოფით, მუქარით, ძალადობისკენ მოწოდებით პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ეროვნული წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, განსხვავებული ფერის, რელიგიის, სქესის, ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა ნიშნის საფუძველზე".

სიძულვილის ენის დიფერენცირება სამ ძირითად კატეგორიად, თავისი შინაარსისა და საზოგადოებაზე მისი შესაძლო ზიანის გათვალისწინებით შეიძლება. არსებული სამართლებრივი მექანიზმებისა და განვითარებული იურიდიული დოქტრინების საფუძველზე, სიძულვილის ენა სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება იქნას დაყოფილი: 1. სიძულვილის ენა, რომელიც იზღუდება კანონითა და საერთაშორისო აქტებით; 2. სიძულვილის ენა, რომელიც შესაძლოა, დაექვემდებაროს შეზღუდვას და 3. კანონით დაცული სიძულვილის ენა. კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა შეზღუდვას დაქვემდებარებული სიძულვილის ენის განსაზღვრა. ამ მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ნაკლებად ორაზროვანია. იგი აღიარებს ყველაზე მწვავე ფორმის სიძულვილის ენის ეფექტს და ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მის აკრძალვას. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია გენოციდის პირდაპირი და საჭარო წაქეზების აკრძალვა 1948 წელს მიღებული კონვენციით „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ (CPPCG). თუმცა ამ აკრძალვისთვის აუცილებელია ორი კუმულატიური წინაპირობის არსებობა, რაც ასეთი განცხადების საჭარო ბუნებასა და პირდაპირ კომუნიკაციას მოიაზრებს.

აკრძალული სიძულვილის ენა დამატებით არის ასახული საერთაშორისო პაქტში - „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (ICCPR). ეს პაქტი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველებს ორ სხვადასხვა - მე-19 და მე-20 მუხლებში გვთავაზობს.

ამ ორ ნორმას შორის განსხვავება, გარდა ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეებისა, იმაში მდგომარეობს, რომ 19 (3) მუხლით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების ლიმიტაცია არ არის სავალდებულო⁴⁶, მაშინ როცა მე-20 მუხლი ლიმიტაციის იმპერატიულ საზღვრებს ადგენს⁴⁷. ამასთან, თუკი მე-19 (3) მუხლი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველად სხვათა რეპუტაციის დაცვას, ეროვნულ უსაფრთხოებას ან წესრიგს, ან საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და მორალს განსაზღვრავს, პაქტის მე-20 მუხლი მსგავსი შეზღუდვის საფუძველებს ექსპლიციტურად იძლევა, რაც ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული,

⁴⁶ მუხლი 19 (3) ადგენს, რომ გამოხატვის თავისუფლება “[...] შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს [...]”.

⁴⁷ მე-20 მუხლი ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი მოწოდება, რომელიც ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას, “უნდა აიკრძალოს კანონით”.

დისკრიმინაციული, მტრობის ან ძალადობის წამქეზებელი გამოსვლის აკრძალვას გულისხმობს⁴⁸. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორი ნორმის რეგულირების სფეროს ირგვლივ სხვადასხვა ქვეყნებს შორის განსხვავებული აზრი არსებობდა⁴⁹, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტმა (UNHRC) სპეციალურად განიხილა აღნიშნული კონფლიქტი და განაცხადა, რომ პაქტის 19(3) მუხლი და მე-20 მუხლები ურთიერთთავსებადია⁵⁰. შედეგად, პაქტის 20 (2) მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი იგი აკმაყოფილებს ამავე პაქტის 19(3) მუხლის მოთხოვნებს. ამიტომაც, მე-20 მუხლი აბსოლუტურად კრძალავს დისკრიმინაციული სიძულვილის შემცველ გამოსვლას, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ გაკეთებული დამატებითი განმარტების თანახმად, მე-20 მუხლში გამოყენებული ტერმინი - „წაქეზება“ მოიცავს გარდაუვლობის ელემენტს. კერძოდ, ამ მუხლის მიზნებისთვის დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის ელემენტი უნდა იყოს რეალური და იმნუთიერი⁵¹. აქედან გამომდინარე, ამ მუხლის დაცვის ობიექტი არის გამოხატვის სპეციალური, ვიწრო ფარგლები და იგი ვერ გავრცელდება ყველა სახის სიძულვილის გამოხატვაზე. ამ ნაწილში, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ მიხედულების ფართო ფარგლები, თავადვე გადაწყვიტოს, არის თუ არა ესა თუ ის გამოხატვა სიძულვილის ენა.

2012 წელს რაბათის სამოქმედო გეგმა იქნა მიღებული. დოკუმენტზე მომუშავე გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის ექსპერტების სერიოზული საქმიანობის შედეგად, მასში აისახა რეკომენდაციები 20(2) მუხლის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით⁵². კერძოდ, დოკუმენტში მოცემულია 6-ნაწილიანი შემოწმების ტესტი, რომელიც განსაზღვრავს ქმედებას, რაც ექცევა 20(2) მუხლის ქვეშ. ესენია: (1) გამოხატვის კონტექსტი; (2) სპიკერის ვინაობა; (3) სპიკერის განზრახვა სიძულვილის ადვოკატირებისთვის; (4) გამოხატვის შინაარსი; (5) მოცულობა და (6) გამოხატვის მასშტაბი და გარდაუვალი ზიანის ალბათობის შესაძლებლობა.

სიძულვილის ენა „ალტ-ინფო“

„ალტ-ინფო“, როგორც რადიკალური დაჯგუფება, გამოირჩევა ძალადობრივი ქმედებებით და ძალადობის წამახალისებელი სიძულვილისა და მუქარის ენით. „ალტ-ინფო“ დაარსების დღიდან საქართველოს მოკავშირეებისა და კონსტიტუციით აღიარებული

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ ანოტაცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების პროექტებზე, A/2929, 1 July 1955, paras. 189-194. იხ: http://www2.ohchr.org/english/issues/opinion/articles1920_iccpr/docs/A-2929.pdf (ბოლო ნახვა: 10 აგვისტო 2021).

⁵⁰ General Comment 11: Prohibition of propaganda for war and inciting national, racial or religious hatred (Art. 20), 29 July 1983.

⁵¹ The annual report of the UN Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression (Special Rapporteur on FOE) to the General Assembly, (2012), A/76/357, para.44

⁵² The Rabat Plan of Action on the prohibition of advocacy of national, racial or religious hatred that constitutes incitement to discrimination, hostility or violence, A/HRC/22/17/Add.4, Appendix, adopted 5 October 2012.

დასავლური, ევრო-ატლანტიკური კურსის წინააღმდეგ ეწევა პროპაგანდას და მათ საქართველოს შიდა საქმეებში უხეშ ჩარევაში, საქართველოს მიმართ კოლონიალიზმში, ქართული ტრადიციებისა და ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებს⁵³. წლების განმავლობაში მავნე ანტიდასავლური პროპაგანდის წარმოების გარდა, „ალტ-ინფოს“ რადიკალური დაჯგუფება იყო 2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობრივი მოვლენების ორგანიზატორი, რის შედეგადაც მედიის 53 წარმომადგენელს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ტვ „პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელიც 5 ივლისს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს გახდა სასტიკი ძალადობის მსხვერპლი, 11 ივლისს საკუთარ სახლში ღამით გარდაცვლილი იპოვეს⁵⁴.

2021 წლის „პრაიდის კვირეულის“ დაანონსების შემდგომ, „ალტ-ინფოს“ მიერ სიძულვილის ენის გამოყენება კიდევ უფრო გაძლიერდა. ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი - ბურა მახარაძე საჯაროდ აკეთებდა განცხადებებს ძალადობაზე, რომელიც ძირითადად ლგბტქ+ პირებს, მედიასა და დასავლელ პარტნიორებს მიემართებოდათ⁵⁵. მუქარის შემცველ მოწოდებებს ავრცელებდა გურამ ფალავანდიშვილიც 4 ივლისს, რომელიც „ღირსების მარშის“ ჩაშლის მიზნით პოლიციის წინააღმდეგ შესაძლო ძალის გამოყენებაზე აპელირებდა⁵⁶.

5 ივლისს, შუადღის 12 საათისთვის პარლამენტთან შეკრებილ კონტრაქციის მონაწილეებს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელმა კონსტანტინე მორგოშიამ ინფორმაცია მიაწოდა, რომ „სირცხვილიას“ ოფისში „თბილისი პრაიდის“ წევრებიც იმყოფებოდნენ. მისივე მოწოდებით, აქციის მონაწილეთა ნაწილმა „სირცხვილიას“ ოფისთან გადაინაცვლა, სადაც ისინი თავს დაესხნენ ადგილზე მყოფ შურნალისტებს (მათ შორის - ლექსო ლაშქარავას), გაუსწორდნენ მათ ფიზიკურად, დაუზიანეს ტექნიკა და დაარბიეს „სირცხვილიას“ ოფისიც⁵⁷.

5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართულ ძალადობრივ აქციაზე მოქალაქეებს საჯარო ტრიბუნიდან ძალადობისკენ მოუწოდა დეკანოზმა სპირიდონ ცქიფურიშვილმაც⁵⁸.

აღნიშნული ძალადობრივი მოწოდებების სამართლებრივი რეაგირების გარეშე დატოვებამ და სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტიანობამ, რომელიც ძირითადად ხელისუფლებაში ასეთი პოლიტიკური ნების დეფიციტით იყო განპირობებული, ხელი შეუწყო ისეთი ძალადობრივი

⁵³ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/38gZpaq>

⁵⁴ შურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა - შერჩევითი სამართალი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <https://bit.ly/3vmkHMu>

⁵⁵ „სირცხვილიას“ ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია, 17.07.2021, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/video/sirckhvili-as-ofissa-da-leqso-lashqaravaze-tavdashkmis-gronologia/>

⁵⁶ „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე იკრიბებიან, მათ შორის არიან სასულიერო პირები, 05. 07.2021: <https://bit.ly/3kpXmmE>

⁵⁷ „სირცხვილიას“ ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია, 17.07.2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LrH4Wi>

⁵⁸ რატომ ეპატიება დეკანოზს ის, რასაც არ პატიობენ სხვას, 06.07.2021. იხ. <https://bit.ly/36UO0MR>

პროცესების წარმართვას, რაც საზოგადოებამ 5-6 ივლისს იხილა⁵⁹. ჟურნალისტებზე განხორციელებული მასობრივი თავდასხმის მიზანი იყო მათ საქმიანობაზე გრძელვადიანი ეფექტის მოხდენა; ოპოზიციური თუ ლიბერალური მედიისთვის გზავნილი, გადაეხედათ თავიანთი კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკისთვის, ხოლო რიგითი ჟურნალისტებისთვის გაფრთხილება - მათი კრიტიკული საქმიანობის შესაძლო შედეგებზე.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას არათუ პრევენციული ღონისძიებები არ გაუტარებია დასჯადი სიძულვილის ენის აღსაკვეთად და აქციის მონაწილეთა და ჟურნალისტთა დასაცავად, არამედ, პროაქტიულადაც, უკვე დამდგარი შედეგის ფონზეც, არ აწარმოებს სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას, რომელიც რამდენიმე აქციის მონაწილე მოძალადესთან ერთად, პასუხისმგებლობას დააკისრებდა აღნიშნული ძალადობის წამქეზებელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს.

ომის პროპაგანდის აკრძალვა

გარდა სიძულვილის ენისა და რუსული პროპაგანდის წარმოებისა, „ალტ-ინფო“ ღიად ეწევა ომის პროპაგანდას. კერძოდ, „ალტ-ინფოს“ განცხადებების მიზანია რუსეთის ფედერაციის მიერ ომის დანაშაულების, მათ შორის - ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამართლება [უკრაინაში], რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით. „ალტ-ინფოს“ ეთერით გავრცელებული ერთ-ერთ ასეთი განცხადებაა: *„სრული ძალისხმევით არ ებრძვის [რუსეთი უკრაინას], შეიძლება ეს ცოტა სასტიკად გაჟღერდეს, მაგრამ მე მირჩევნია, ნაკლები ჯარისკაცი მე დამეხოცოს, ვიდრე მოწინააღმდეგეს ჯარისკაცი და შემთხვევით ამ მოწინააღმდეგის ჯართან ერთად მშვიდობიანი მოსახლეობა - მე ეგეთი წარმოდგენა მაქვს⁶⁰“.*

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ისეთი პროგრამების გადაცემას, რომელიც ამართლებს დანაშაულს ან აიდევალებს კრიმინალს. კანონით დასჯადია ომის დანაშაულები, მათ შორის - დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ, რასაც რუსეთი სჩადის უკრაინაში. ყველა საერთაშორისო კონვენცია ომის პროპაგანდას კრძალავს, მათ შორის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-20 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ომის ყოველგვარი პროპაგანდა უნდა აიკრძალოს კანონით⁶¹. აგრესიული ომის პროპაგანდა არ ჯდება გამოხატვის თავისუფლებაში. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *„იკრძალება ომის ნებისმიერი სახით პროპაგანდა⁶²“.* ამასთან, „მაუწყებლობის შესახებ“

⁵⁹ 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება (პირველადი ანალიზი), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი, 2021. <https://bit.ly/38yBnY0>

⁶⁰ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LmSt9P>

⁶¹ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-20 მუხლის 1 პუნქტი. <https://bit.ly/36RUKEI>

⁶² „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 56-ე მუხლის პირველი პუნქტი. <https://bit.ly/37MmhON>

საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია, ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას⁶³.

საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI) საჩივრით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ტელეკომპანია „ალტ-ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით მაუწყებლის მიერ დანაშაულის დადებითად შეფასებისა და კრიმინალის გაიდეალების გამო. GDI არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციის გავრცელებისთვის „ალტ ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობას ითხოვდა. საჩივრის მიხედვით, ტელეკომპანია ცდილობდა რუსეთის აგრესიული სამხედრო ინტერვენციის ეფექტების ნორმალიზაციას, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის მორალური საფუძვლის წარმოჩენასა და მის დასაბუთებას. გამომდინარე აქედან, საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ სახეზეა დანაშაულებრივი ქმედებების გამართლება და კრიმინალის გაიდეალება.

კომისიამ განმარტა, რომ ომის პროპაგანდის დაყვანა მხოლოდ არასრულწლოვნებისთვის მავნე ზეგავლენის მომხდენ პროგრამამდე, ეწინააღმდეგება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის არსს და პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციების კომისიამ საჩივარი დაუშვებლად სცნო, ტელეკომპანია „ალტ-ინფოში“ გაკეთებული ზემოაღნიშნული განცხადება მაინც აღიარა ომის პროპაგანდად, თუმცა, მიუთითა, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონით ომის პროპაგანდის გავრცელების შემთხვევაში რეაგირება მხოლოდ მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებშია შესაძლებელი⁶⁴. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევებზე (გარდა 56-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (10.10.2009 N 1/3/421,422) დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა) რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი ამავე მუხლის (591) მე-2 პუნქტის თანახმად, არ საჩივრდება არც სასამართლოში, არც კომისიაში და არც სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში.

⁶³ იქვე, მუხლი 14.

⁶⁴ კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება, მარტი 24, 2022, იხილეთ: <https://bit.ly/36T2zAz>

პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ საქმიანობის არაკონსტიტუციურობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეისწავლის არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიის შექმნის საფუძვლებს, არამედ მის საქმიანობასაც. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ რა მისია და მიზნებია გათვალისწინებული პარტიის წესდებაში ან სხვა დამფუძნებელ დოკუმენტებში, არსებითი მნიშვნელობა აქვს პარტიის წევრების განცხადებებსა და მოქმედებებს რეალურ დროში.

პარტია „კონსერვატიული მოძრაობისა“ და ტელევიზია „ალტ-ინფო“ საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი გაცხადებული მიზანი - საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზების განთავსება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკვე არსებული რუსული ბაზების „დაკანონება“. „კონსერვატიული მოძრაობა“ და „ალტ-ინფო“ დეზინფორმაციის გავრცელებითა და რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდისტული განცხადებებით ცდილობს საზოგადოების დარწმუნებას და ამტკიცებს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საქართველო რუსულ უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სისტემებში უნდა შევიდეს. პარტიის ლიდერი ღიად აცხადებს, რომ საქართველოში რუსული სამხედრო ბაზები უნდა განთავსდეს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებიც ასე გადაიჭრება⁶⁵.

პრორუსულ, ულტრამემარჯვენე პარტია „კონსერვატიულ მოძრაობას“ აქვს საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის გეგმა და საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც მოწონებულია რუსეთის სახელმწიფოს მიერ. რუსი პოლიტოლოგის, ალექსანდრე დუგინის განცხადებით, „არ ღირს რუსეთის ოკუპაციის დემონიზება, ხისტად უპირისპირდებიან ნატოს და საქართველოს დანაწევრება არასოდეს იყო რუსეთის გეოპოლიტიკის მიზანი. იმპერიას თავისი ლოგიკა აქვს [...]“. ამასთან, პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ აცხადებს, რომ რუსეთი ოკუპანტი არაა. მეტიც, ალექსანდრე დუგინის განცხადებით, რასაც „ალტ-ინფო“ იმეორებს: *„საქართველოს უნდა სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა... და ვის შეუძლია მისცეს მას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საშუალება თუნდაც თეორიულად?! რა თქმა უნდა, არა - ვაშინგტონს. გასაღები რუსეთის ხელშია... რუსეთს შეუძლია, დაუახლოვდეს საქართველოს გეოპოლიტიკურად ისევე, როგორც ეს იყო ისტორიული ეპოქების არაერთ ეტაპზე“⁶⁶.*

გარდა ზემოაღნიშნულისა, პარტიის ღიად გაცხადებული მთავარი მიზანია, საქართველო და რუსეთი გახდეს სტრატეგიული პარტნიორები. ისინი აცხადებენ, რომ ცდილობენ, მჭიდრო კავშირი,

⁶⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vITSbt>

⁶⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xVjc9E>

ურთიერთთანამშრომლობა შედგეს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ სივრცეში.

საქართველოს მიერ არჩეულ კურს არ წარმოადგენს ევრაზიულ კავშირში შესვლა. დეკლარირებული მიზანი, რომელიც საქართველომ ხალხის ნებაზე დაყრდნობით (რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე) აირჩია, არის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება. გარდა ამისა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია განმტკიცებულია საქართველოს სახელმწიფოს სახელმძღვანელო დოკუმენტსა და უზენაეს კანონში - კონსტიტუციაში: *„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომი ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“*⁶⁷. ევრო-ატლანტიკური კურსის აღნიშვნა უმნიშვნელოვანესი განაცხადია, როგორც ქვეყნის შიგნით ევროპული ტიპის დემოკრატიის ფორმირების, ასევე ქვეყნის გარეთ საგარეო-პოლიტიკური კურსის პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ყოველივე ეს, არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, სხვა არაფერია თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რუსული სამხედრო შენაერთების კანონიერად ცნობა და ფაქტობრივად რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მხარდაჭერა, რაც ცალსახად ანტიკონსტიტუციური საქმიანობაა. შესაბამისად, პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ საქმიანობა და პოლიტიკური დღის წესრიგი ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს. ხაზგასასმელია, ასევე, ის ფაქტორიც, რომ ძალადობრივი პოლიტიკური პარტიის წევრები არ აღიარებენ რუსეთის ფედერაციას ოკუპანტად. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის ფაქტი დადასტურებულია მათ შორის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით და საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა დოკუმენტის მიღებით.

პოლიტიკოსებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ საკუთარი პოლიტიკური მრწამსი და შეხედულება ამა თუ იმ მოვლენაზე. თუმცა, ეს არ გულისხმობს მათ სრულ თავისუფლებას. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია ხდება მაშინ, როდესაც იგი აშკარად არასახელმწიფოებრივი ხასიათის მატარებელია და ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ წესწყობილებას, ქვეყნის მიერ არჩეულ კურსს.

იმ პირობებში, როდესაც პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში გეგმავს რუსული სამხედრო ბაზების „დაკანონებას“, საქართველოს რუსულ „უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სისტემებში“ სრულად შეყვანას, ეს აშკარად მიუთითებს მის მთავარ მიზანზე - მოშალოს არსებული წესრიგი, დაუქვემდებაროს

⁶⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78. <https://bit.ly/38yneug>

სახელმწიფო აგრესორ მეზობელ ქვეყანას და მოსკოს სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა.

თურქეთის „კეთილდღეობის პარტიის“ (the Welfare Party) საქმის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც „კონსერვატიული მოძრაობის“ პოლიტიკური დღის წესრიგი, საქმიანობა და კამპანია შესაძლო ცვლილებებზე ცალსახად ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპებს. მოცემულ შემთხვევაში, საფრთხე ასევე არის რეალური და გარდაუვალი, რაზეც მეტყველებს უკანასკნელ პერიოდში პრორუსული ძალების გააქტიურება საქართველოში და მასშტაბური ძალადობრივი მოვლენები, მათ შორის - 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები, რის შედეგადაც მედიის 53 წარმომადგენელს ფიზიკურად გაუსწორდნენ და ტვ „პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელიც 5 ივლისს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს გახდა სასტიკი ძალადობის მსხვერპლი, 11 ივლისს საკუთარ სახლში ღამით გარდაცვლილი იპოვეს. საფრთხის რეალურობას და გარდაუვალობას მიუთითებს ის ფაქტიც, რომ „კონსერვატიული პარტია“ აპირებს, დარეგისტრირდეს საარჩევნო სუბიექტად შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთოს წინასაარჩევნო კამპანიაში და მოიპოვოს საქართველოს მიერ არჩეული დასავლური კურსის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ელექტორატის მხარდაჭერა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პარტია „კონსერვატიული მოძრაობისა“ და ტელევიზია „ალტ ინფოს“ საქმიანობის მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ამგვარად, რეალურია მათი საქმიანობის არაკონსტიტუციურად გამოცხადებისა და პარტიის აკრძალვის საფუძვლები.

დასკვნა

ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური უფლებების გარკვეული შეზღუდვები საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში. თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის თეორიით, დემოკრატიულ სახელმწიფოს უნდა შეეძლოს აკრძალვითი ზომების მიღება პოლიტიკური მოძრაობის საწინააღმდეგოდ, თუ ის მიმართავს არადემოკრატიულ საშუალებებს (ძალადობას) და მისდევს ანტიდემოკრატიულ მიზნებს.

შესაბამისად, პრორუსული პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“, რომელიც გამოირჩევა ძალადობრივი ქმედებებითა და ძალადობის წამახალისებელი სიძულვილისა და მუქარის ენით, მხარს უჭერს საქართველოს შესვლას რუსულ „უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სისტემებში“ და საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების „დაკანონებას“, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

ინტეგრაციას, უნდა დაექვემდებაროს პოლიტიკური უფლებების შეზღუდვებს და გაუქმდეს. ხოლო ამის კონსტიტუციური საფუძვლები, საჭიროება და გამართლება არსებობს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, პროპაგანდისტული, ძალადობრივი ტელეკომპანია „ალტ-ინფო“, რომელიც ღიად ეწევა ომის პროპაგანდას, სიძულვილის ენისა და სოციალური კონფრონტაციის გამომწვევი განცხადებების გავრცელებას, უნდა ჩაიხსნას მაუწყებლობიდან და ამისათვის ხელისუფლებამ ყველა თანმხვედრი ნაბიჯი უნდა გადაადგას.

რეკომენდაციები:

საქართველოს ხელისუფლებას:

- *უმნიშვნელოვანესია, უახლოეს პერიოდში მთავრობამ შეიმუშაოს კრემლიდან მომავალ პროპაგანდასთან/საფრთხეებთან ბრძოლის ერთიანი და ადეკვატური სტრატეგია; წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მხრივ სახელმწიფოს არაეფექტურმა და არადროულმა პოლიტიკამ ქვეყანა შესაძლებელია საკმაოდ მძიმე გამოწვევების წინაშე დააყენოს;*
- *რუსული საინფორმაციო ომი ოფიციალურად უნდა განისაზღვროს საფრთხედ შესაბამის დოკუმენტებში;*
- *საქართველოს მთავრობამ უნდა შექმნას დეზინფორმაციის ანალიზის, რეაგირების და პროპაგანდასთან ბრძოლის კოორდინაციის ჯგუფი;*
- *სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ოკუპანტი ქვეყნის - რუსეთის პროპაგანდასთან ბრძოლა უნდა გამოაცხადოს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.*

საგამოძიებო ორგანოებს:

- *უზრუნველყონ 2021 წლის 5-6 ივლისს განხორციელებულ ძალადობრივ მოვლენებში მონაწილე ყველა პირის იდენტიფიცირება და სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება - ამ ქმედებების ორგანიზატორთა დადგენისა და მათდამი სისხლისსამართლებრივი დევნის ჯეროვნად განხორციელების მიზნით;*

საქართველოს პარლამენტს:

- *ანტიდასავლურ და პრორუსულ დეზინფორმაციასა და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის კონტექსტში, მათ შორის ამ მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობის კუთხით, გააძლიეროს საპარლამენტო კონტროლის ფუნქცია;*
- *რუსული ჰიბრიდული საფრთხეების მასშტაბიდან გამომდინარე დაიწყოს მოკვლევა, რომელიც სიღრმისეულად შეისწავლოს „ალტ-ინფოსა“ და მსგავსი პრორუსული დაჯგუფებების საქართველოს*

სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებსა და მათ ფინანსურ კავშირებს;

- გამოძიების პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად, უზრუნველყოს პარლამენტის ბაზაზე მულტიფრაქციული საპარლამენტო კომისიის შექმნა და გაზარდოს პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა, ამგვარი გამოძიების ეფექტურად წარმართვის მიზნით.